

მოდრაობა KAR.GE პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო ეკონომიკური პროგრამების შეფასებას იწყებს

2016 წლის 8 ოქტომბერი მნიშვნელოვანი დღეა!

8 ოქტომბერს არჩევანის გაკეთებისას ქვეყნის ამომრჩევლები/მოქალაქეები პირველ რიგში პოლიტიკური სუბიექტების ეკონომიკური პროგრამებით იხელმძღვანელებენ. სწორი არჩევანის გასაკეთებლად კი მათთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მიუკერძოებელი მოსაზრების მოსმენა არაპოლიტიკოსებისგან.

მოდრაობა KAR.GE: ვგრძნობთ რა სწორედ ობიექტური შეფასების დეფიციტს, ჩვენი მისიიდან გამომდინარე თავს ვალდებულად ვთვლით სრულფასოვნად გავაანალიზოთ თითოეული პოლიტიკური სუბიექტის წინასაარჩევნო ეკონომიკური პროგრამა და საზოგადოებასთან ერთად კონკრეტული კრიტერიუმებით შევაფასოთ მოიტანს თუ არა იგი შედეგად ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას.

რატომ ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას?

პასუხი ასეთია: თუ ჩვენ გვინდა მეტი დასაქმება, მეტი ეკონომიკური ზრდა, მეტი სიმდიდრის დაგროვება ქვეყანაში და საქართველოს თითოეული მოქალაქის ოჯახში - ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ერთადერთი გზაა საამისოდ.

მოდრაობა KAR.GE მიმართავს ყველა პოლიტიკურ სუბიექტს:

გთხოვთ გამოაქვეყნოთ და/ან მოგვაწოდოთ თქვენი პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო ეკონომიკური პროგრამა. ჩვენ მას შევაფასებთ, შეფასებას კი გამოვაქვეყნებთ და საზოგადოებას მივაწვდით. მეტიც, ამ თემაზე მზად ვართ ღიად შემოვიდეთ დისკუსიაში მოქალაქეებთან/ექსპერტებთან ერთად.

მოდრაობა KAR.GE

ტარიელ ზივზივაძე, დამფუძნებელი

577 73 79 64

info@kar.ge

<http://kar.ge>

**** მოძრაობა KAR.GE საზოგადოებრივი ინიციატივაა. ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. მოძრაობა KAR.GE გირჩევთ: იყიდეთ მხოლოდ საქართველოში წარმოებული ხარისხიანი პროდუქცია! ყიდულობ ქართულს? შენი გადახდილი ფულით აძლიერებ ქართულ ბიზნესს, ხელფასს უხდი საქართველოს მოქალაქეს და აძლიერებ საქართველოს!**